

შპს „ჭრელი აბანო“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-5
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	
1. შესავალი	10
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
3. გამოცემული ფასის სტანდარტები, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა	19
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	20
5. ძირითადი საშუალებები	22
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
8. საქონლო მატერიალური ფასეულობები	23
9. საწესდებო კაპიტალი	23
10. მოკლევადიანი სესხები	24
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
12. შემოსავალი	24
13. რეალიზებული მომსახურების ღირებულება	25
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	25
15. ფინანსური რისკის მართვა	25
16. დაკავშირებული მხარეები	29
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჭრელი აბანო“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ჭრელი აბანო“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, ასევე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს ამავე თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს - ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების მიხედვით ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის გარიგების პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თივის“ სახელით

2019 წლის 30 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის გარიგების პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თივის“ სახელით
2019 წლის 30 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



Closer to you

შპს „ჭრელი აბანო“
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	9,667,541	9,783,709	7,722,896
არამატერიალური აქტივები		11,682	6,987	-
ინვესტიციები		14,115	120,000	120,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,693,338	9,910,696	7,842,896
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6	102,944	371,112	130,569
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	237,869	13,669	347,278
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	85,317	71,895	5,654
საგადასახადო აქტივი, წმინდა		214,310	333,805	182,435
სულ მოკლევადიანი აქტივები		640,440	790,481	665,936
სულ აქტივები		10,333,778	10,701,177	8,508,832
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	4,416,442	6,681,332	4,624,072
გაუნაწილებელი მოგება		4,805,339	2,726,817	2,340,061
სულ კაპიტალი		9,221,781	9,408,149	6,964,133
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი	10	409,886	1,149,706	1,432,347
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	207,111	143,322	112,352
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		-	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,111,997	1,293,028	1,544,699
სულ ვალდებულებები		1,111,997	1,293,028	1,544,699
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,333,778	10,701,177	8,508,832

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
-----------	-------------------

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 10-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

შპს „ჭრელი აბანო“
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართული ლარი)


	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	9,667,541	9,783,709	7,722,896
არამატერიალური აქტივები		11,682	6,987	-
ინვესტიციები		14,115	120,000	120,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,693,338	9,910,696	7,842,896
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	6	102,944	371,112	130,569
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	237,869	13,669	347,278
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	85,317	71,895	5,654
საგადასახადო აქტივი, წმინდა		214,310	333,805	182,435
სულ მოკლევადიანი აქტივები		640,440	790,481	665,936
სულ აქტივები		10,333,778	10,701,177	8,508,832
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	4,416,442	6,681,332	4,624,072
გაუნაწილებელი მოგება		4,805,339	2,726,817	2,340,061
სულ კაპიტალი		9,221,781	9,408,149	6,964,133
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		865,163	1,103,720	1,372,817
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		865,163	1,103,720	1,372,817
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი	10	39,723	45,986	59,530
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	207,111	143,322	112,352
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		-	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		246,834	189,308	171,882
სულ ვალდებულებები		1,111,997	1,293,028	1,544,699
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,333,778	10,701,177	8,508,832

ხელმოწერი პირები:

დირექტორი




მთავარი ბუღალტერი



30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 10-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

შპს „ჭრელი აბანო“

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	12	3,668,309	1,166,086
რეალიზებული მომსახურეობის ღირებულება	13	(1,005,132)	(527,405)
საერთო მოგება		2,663,177	638,681
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(578,177)	(237,297)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა ზარალი/(მოგება)		(23,077)	167,064
ფინანსური ხარჯი		(95,618)	(109,533)
დივიდენდები		112,201	64,826
სხვა ხარჯები		16	(136,985)
მოგება დაბეგვრამდე		2,078,522	386,756
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		2,078,522	386,756
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული მოგება		2,078,522	386,756

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019


თბილისი, საქართველო

შენიშვნები 10-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

შპს „ჭრელი აბანო“
 სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	12	3,668,309	1,166,086
რეალიზებული მომსახურეობის ღირებულება	13	(1,005,132)	(527,405)
საერთო მოგება		2,663,177	638,681
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(578,177)	(237,297)
კურსთაშაორის სხვაობის წმინდა ზარალი/(მოგება)		(23,077)	167,064
ფინანსური ხარჯი		(95,618)	(109,533)
დივიდენდები		112,201	64,826
სხვა ხარჯები		16	(136,985)
მოგება დაბეგრამდე		2,078,522	386,756
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		2,078,522	386,756
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული მოგება		2,078,522	386,756

ხელმოწერი პირები:

დირექტორი 



მთავარი ბუღალტერი 

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 10-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

შპს „ჭრელი აბანო“

კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2017	4,624,072	2,340,061	6,964,133
პერიოდის მოგება	-	386,756	386,756
კაპიტალის ზრდა	2,137,840	-	2,137,840
კაპიტალის შემცირება	(80,580)	-	(80,580)
31 დეკემბერი 2017	6,681,332	2,726,817	9,408,149
პერიოდის მოგება	-	2,078,522	2,078,522
კაპიტალის ზრდა	105,885	-	105,885
კაპიტალის შემცირება	(2,370,775)	-	(2,370,775)
31 დეკემბერი 2018	4,416,442	4,805,339	9,221,781

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო


შენიშვნები 10-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

შპს „ჭრელი აბანო“
 კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2017	4,624,072	2,340,061	6,964,133
პერიოდის მოგება	-	386,756	386,756
კაპიტალის ზრდა	2,137,840	-	2,137,840
კაპიტალის შემცირება	(80,580)	-	(80,580)
31 დეკემბერი 2017	6,681,332	2,726,817	9,408,149
პერიოდის მოგება	-	2,078,522	2,078,522
კაპიტალის ზრდა	105,885	-	105,885
კაპიტალის შემცირება	(2,370,775)	-	(2,370,775)
31 დეკემბერი 2018	4,416,442	4,805,339	9,221,781

ხელმოწერი პირები:

დირექტორი




მთავარი ბუღალტერი



30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები 10-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

შპს „ქრელი აბანო“

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	2018	2017
წლის მოგება დაბეგვრამდე:	2,078,522	386,756
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	167,061	113,848
სხვა (შემოსავალი)/ხარჯი	(16)	136,985
(შემოსავალი)/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	23,077	(167,064)
ფინანსური ხარჯი	95,618	109,533
დარიცხული დივიდენდები	(112,201)	(64,826)
ცვლილება მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებში:		
ცვლილება დებიტორული დავალიანების	(3,229)	(4,196)
ცვლილება წინასწარ გაწეული ხარჯების	(220,971)	337,805
წმინდა საგადასახადო აქტივის ცვლილება	119,495	(151,370)
კრედიტორული დავალიანების ზრდა	63,789	30,970
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში	(13,422)	(66,241)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	2,197,723	662,200
გადახდილი პროცენტი	(106,198)	(113,947)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	2,091,525	548,253
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(48,212)	(2,174,346)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(7,460)	(7,303)
მიღებული დივიდენდი	112,201	64,826
საინვესტიციო საქმიანობიდან გენერირებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	56,529	(2,116,823)
კაპიტალის შევსება	105,885	2,137,840
კაპიტალის შემცირება	(2,264,382)	(80,580)
გადახდილი სესხები	(265,957)	(243,476)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(2,424,454)	1,813,784
ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	371,112	130,569
წმინდა (კლება)/ზრდა წლის განმავლობაში	(276,400)	245,214
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	8,232	(4,671)
ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	102,944	371,112

ხელმომწერი პირები:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 10-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

შპს „ჭრელი აბანო“
 ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	2018	2017
წლის მოგება დაბეგვრამდე:	2,078,522	386,756
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	167,061	113,848
სხვა (შემოსავალი)/ხარჯი	(16)	136,985
(შემოსავალი)/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	23,077	(167,064)
ფინანსური ხარჯი	95,618	109,533
დარიცხული დივიდენდები	(112,201)	(64,826)
ცვლილება მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებში:		
ცვლილება დებიტორული დავალიანების	(3,229)	(4,196)
ცვლილება წინასწარ გაწეული ხარჯების	(220,971)	337,805
წმინდა საგადასახადო აქტივის ცვლილება	119,495	(151,370)
კრედიტორული დავალიანების ზრდა	63,789	30,970
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში	(13,422)	(66,241)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	2,197,723	662,200
გადახდილი პროცენტი	(106,198)	(113,947)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	2,091,525	548,253
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(48,212)	(2,174,346)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(7,460)	(7,303)
მიღებული დივიდენდი	112,201	64,826
საინვესტიციო საქმიანობიდან გენერირებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	56,529	(2,116,823)
კაპიტალის შევსება	105,885	2,137,840
კაპიტალის შემცირება	(2,264,382)	(80,580)
გადახდილი სესხები	(265,957)	(243,476)
საფინანსო საქმიანობით გენერირებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(2,424,454)	1,813,784
ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	371,112	130,569
წმინდა (კლება)/ზრდა წლის განმავლობაში	(276,400)	245,214
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	8,232	(4,671)
ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	102,944	371,112

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

30 სექტემბერი, 2019
 თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა წარმოდგენილია 3-5 გვერდებზე.

1. შესავალი**1.1 კომპანია და მისი საქმიანობა**

შპს „ჭრელი აბანო“ (შემდგომში - „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2008 წლის 5 მაისს დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, აბანოს ქ. №2. კომპანია ახორციელებს აბანოების მოწყობას და მოსახლეობისათვის სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მომსახურების გაწევას.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელელთა სტრუქტურა ასეთია:

	<i>31 დეკემბერი 2018</i>	<i>31 დეკემბერი 2017</i>
თეიმურაზ მამაცაშვილი	50%	50%
ვასილ კობაიძე	25%	25%
მანანა ციხელაშვილი	15%	15%
შპს „ჩემექსიმ ინტერნეშენალ“	10%	10%
	100%	100%

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითად მეწილეს წარმოადგენს ფ/პ თეიმურაზ მამაცაშვილი.

1.2 კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც მოიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაცია ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალ ინფლაციასა და ძლიერ ეკონომიკური ზრდას.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით. გამოყენებული იქნა ფასს-1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“. ფინანსური ანგარიშგების ფასს-ზე გადასვლის თარიღია 1 იანვარი, 2017.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც სხვაგვარად არ არის მითითებული სააღრიცხვო პოლიტიკაში.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. (2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის).

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს (GEL).

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ვალუტა არის ყველაზე მოსახერხებელი წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის და ყველაზე უკეთ ასახავს მიმდინარე პროცესებისა და გატარებების ეკონომიკურ ეფექტს კომპანიაზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6766	2.5922	2.6468
1 ევრო/ლარი	3.0701	3.1044	2.7940
1 გირვანქა სტერლინგი/ლარი	3.3955	3.5005	3.2579

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომავალი მომგებიანობისთვის გაწეული მნიშვნელოვანი ინვესტიციები და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები - საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისაა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან

ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო დებიტორული სახსრები, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მეთოდი, ფასდება ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა). სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად, კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

	< 30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360
რეზერვი %	0%	2%	5%	25%	50%	100%

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება ღირებულებით, ხოლო შემდგომ ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება მთლიანი შესყიდვის ღირებულებით, დამატებული მარაგების ამჟამინდელ ადგილზე და მდგომარეობამდე მიყვანისთვის საჭირო ყველა სხვა ხარჯი. მაგალითად, ტრანსპორტირების, იმპორტის და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოდგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურება. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული შემოსავლებისა და დანაკარგების თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალების ცვეთა აღიარდება მოგება/ზარალში, რომლის დარიცხვა ხორციელდება წრფივი მეთოდით, იმ თარიღიდან როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. დაუმთავრებელ მშენებლობაზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება მანამ, სანამ ის არ იქნება მზად გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა	
მიწა	განუსაზღვრელი მომსახურების ვადა
შენობა	40-50 წელი
მანქანა-დანადგარები	3-20 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი

რეალური ღირებულების, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულების გამოყენება

კომპანია ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რეალურ ღირებულებას იყენებს, როგორც დასაშვებ საწყის ღირებულებას ძირითადი საშუალებების მუხლისათვის. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია ფასს სტანდარტების შესაბამის საწყის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იყენებს, განსხვავდება იმისგან, რასაც ის იმავე თარიღისათვის იყენებდა მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების თანახმად. აქედან გამომდინარე, შესწორებები წარმოიქმნება ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე მომხდარი მოვლენებიდან და ოპერაციებიდან. საწარმომ ეს შესწორებები პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში უნდა აღიაროს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ მისაღები ანაზღაურების მიხედვით და არ მოიცავს მესამე პირების სახელით მისაღებ თანხებს. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც მოხდება კლიენტისთვის პროდუქტზე საკუთრების გადაცემა ან მომსახურების გაწევა.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და დაკლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდის აღიარება ხდება ვალდებულებებში იმ წელს როდესაც ხდება გამოცხადება.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მიიღოს გადაწყვეტილებები, გააკეთოს გარკვეული შეფასებები და დაშვებები, რაც გავლენას ახდენს შემოსავლის, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების თანხებზე, და თანმდევ განმარტებითი შენიშვნებზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების შესახებ გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს შედეგი, რომელიც მოითხოვს მომავალი პერიოდების განმავლობაში აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების არსებით კორექტირებას.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. გარდა ამისა, საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია, როგორც კომპანიის გარიგებები და საქმიანობა, შეიძლება არ ემთხვეოდეს ხელმძღვანელობის მოქმედებას. შედეგად, საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება გაასაჩივრონ გარიგებები და დამატებითი გადასახადები, შეიძლება შეფასდეს ჯარიმები და პროცენტები, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მისი შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია მიზანშეწონილია და სავარაუდოა, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციები იქნება მდგრადი.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9, ისევე როგორც IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

3. გამოცემული ფასის სტანდარტები, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება.

მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკიდან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. კომპანია ფასს 16-ის მიღებას აპირებს რეტროსპექტულად, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტის გამოყენებას იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით, იჯარებად განისაზღვრებოდა. ამიტომ კომპანია არ გამოიყენებს სტანდარტს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე არ განისაზღვრებოდა იჯარის შემცველად ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით. კომპანია გადაწყვეტს სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებას იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. კომპანია ამჟამად აფასებს ფასს 16-ის მიღების გავლენას, მაგრამ ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის არ მოელის, რომ ამ სტანდარტს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მის საკუთარ კაპიტალზე.

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვევლობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

3. გამოცემული ფასს სტანდარტები, რომლებიც ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

- კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს თუ არა გაურკვეველი საგადასახადო დაბეგვრის წესებს;
- დაშვებები, რომლებსაც კომპანია აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საგადასახადო დაბეგვრის წესების შემოწმების შესახებ;
- როგორ განსაზღვრავს კომპანია დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ბაზებს, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- როგორ განიხილავს კომპანია ცვლილებების შეტანას ფაქტებსა და გარემოებებში.

კომპანიამ უნდა განსაზღვროს, გაურკვეველობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგვრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ გაურკვეველობის შემცველ ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგვრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვეველობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. კომპანია ინტერპრეტაციას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. კომპანია ვარაუდობს რომ ინტერპრეტაციას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მის კაპიტალზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო

ცვდის განაკვეთების კორექტირება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, კომპანია იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დამკველბული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, მათ შორის გაცემული სესხების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიანებას, ასევე გაცემულ სესხებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

შპს „ჭრელი აბანო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური

	მიწა	შენობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ჯამი	არამატერიალური აქტივები
თვითღირებულება						
1 იანვარი 2017	3,804,000	3,800,000	121,509	1,355	7,726,864	-
შემოსვლა	-	1,998,921	93,034	82,391	2,174,346	7,303
31 დეკემბერი 2017	3,804,000	5,798,921	214,543	83,746	9,901,210	7,303
შემოსვლა	-	25,493	5,825	16,810	48,128	7,460
31 დეკემბერი 2018	3,804,000	5,824,414	220,368	100,556	9,949,338	14,763
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2017	-	-	3,968	-	3,968	-
ცვეთის ხარჯი	-	94,822	15,266	3,445	113,533	316
31 დეკემბერი 2017	-	94,822	19,234	3,445	117,501	316
ცვეთის ხარჯი	-	131,138	21,234	11,924	164,296	2,765
31 დეკემბერი 2018	-	225,960	40,468	15,369	281,797	3,081
საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2017	3,804,000	3,800,000	117,541	1,355	7,722,896	-
31 დეკემბერი 2017	3,804,000	5,704,099	195,309	80,301	9,783,709	6,987
31 დეკემბერი 2018	3,804,000	5,598,454	179,900	85,187	9,667,541	11,682

შპს „ჭრელი აბანო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)

კომპანიამ გადაწყვიტა ძირითადი საშუალებების მუხლების (მიწები და შენობები) შეფასება მისი რეალური ღირებულებით ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის (2017 წლის 1 იანვარი) და ეს რეალური ღირებულება გამოიყენა როგორც მისი დასაშვები საწყისი ღირებულება მოცემული თარიღისათვის.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე მომხდარი მოვლენებიდან და ოპერაციებიდან წარმოქმნილი შესწორებები აღიარა პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში. იმ ძირითადი საშუალებების აგრეგირებული ღირებულება, რომელიც შეფასდა რეალური ღირებულებით ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის შეადგენს 7,604,000 ლარს. მანამდე გამოყენებული საზოგადოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესაბამისი საანგარიშგებო საბალანსო ღირებულებების მთლიანი შესწორების თანხა შეადგენს 3,675,127 ლარს.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	16,080	12,399	2,753
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	27,878	117,874	96,707
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	42,636	220,339	31,109
ფული გზაში	16,350	20,500	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	102,944	371,112	130,569

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
მოთხოვნები კლიენტების მიმართ	9,212	5,983	1,787
წინასწარი გადახდები	228,657	7,686	345,491
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	237,869	13,669	347,278

8. საქონლო მატერიალური ფასეულობები

სას	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ჰიგიენური საშუალებები	61,786	58,670	1,927
საკვები და სასმელი	22,825	13,225	1,962
საწვავი	706	-	1,765
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	85,317	71,895	5,654

9. საწესდებო კაპიტალი

2016 წლის 1 იანვრამდე ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისთვის, დამფუძნებლების მიერ თანხების შეტანა ხორციელდებოდა სესხის სახით, რომელიც შემდეგ დარიცხულ პროცენტთან ერთად 2013 წლის 23 დეკემბერს დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით შევიდა კაპიტალში.

2018 წლის 30 აპრილის შპს „ჭრელი აბანო“ პარტნიორთა კრების ოქმის მიხედვით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოხდეს საწესდებო კაპიტალის მთლიანი შემცირება (განულება) ეტაპობრივად, რაც 2019 წლის განმავლობაშიც გრძელდება (იხ. 17-ე შენიშვნა).

შპს „ჭრელი აბანო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)

10. მოკლევადიანი სესხები

ორგანიზაცია	სესხის აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	აპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
თიბისი ბანკი	14.08.2014	14.08.2021	7.6% + 6m.Libor	USD	897,703	1,141,942	1,422,691
გადასახდელი პროცენტი					7,183	7,764	9,656
სულ					904,886	1,149,706	1,432,347

2014 წლის აგვისტოში კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ბანკ რესპუბლიკასთან 900 000 აშშ დოლარის საკრედიტო ლიმიტით. 2017 წლის ივნისში შპს „ჭრელი აბანო“ ვალდებულება გაუჩნდა თი-ბი-სი ბანკის, ბანკი რესპუბლიკის შესყიდვის გამო. ამის გამო ხელშეკრულებაში ცვლილებები არ განხორციელებულა. სასესხო ვალდებულების საბალანსო ნაშთი 897,703 ლარია. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2014 წლის 14 აგვისტოს. კომპანიამ საკრედიტო ლიმიტიდან აითვისა მხოლოდ 654,237 აშშ დოლარი. სესხი უნდა დაიფაროს 2021 წლის 14 აგვისტოს. საპროცენტო განაკვეთი სესხისთვის წარმოადგენს 7,6%+6mLibor. კომპანიასა და შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები:

განსაკუთრებული პირობები:

(ა) 2015 წლიდან $EBIDTA > 300\,000$ ლარზე, $DSCR > 1.0$

(ბ) არსებული სასესხო ვალდებულების და უზრუნველყოფაში წარმოდგენილი უძრავი ქონების სალიკვიდაციო ღირებულების (ბანკის მიერ განსაზღვრული) შეფარდების კოეფიციენტი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 1.25

ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე არ განხორციელდეს დივიდენდების გაცემა და კაპიტალური დანახარჯები.

(გ) ხელშეკრულებაში მითითებული განსაკუთრებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებელი მაქსიმუმ წლიური 12 %-მდე.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	205,573	143,322	89,113
ხელფასები	1,538	-	23,239
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	207,111	143,322	112,352

12. შემოსავალი

	2018	2017
შემოსავალი ნომრებიდან	3,022,861	1,033,769
შემოსავალი სასმელებიდან და საკვებიდან	334,403	60,140
შემოსავალი ჰიგიენური საშუალებებიდან	220,882	30,191
შემოსავალი იჯარიდან	77,458	34,611
სხვა საოპერაციო შემოსავალი	12,705	7,375
სულ შემოსავალი	3,668,309	1,166,086

შპს „ჭრელი აბანო“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)**

13. რეალიზებული მომსახურების ღირებულება

	2018	2017
კომუნალური ხარჯები	225,020	118,452
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	162,610	102,085
ხელფასის ხარჯი	160,741	99,823
გოგირდი წყლის ხარჯი	114,000	71,500
სამეურნეო ხარჯები	97,858	38,497
ჰიგიენური საშუალებების ხარჯები	89,656	24,569
საკვები და სასმელი	73,145	25,170
დაცვის ხარჯი	51,840	11,208
იჯარის ხარჯი	23,500	23,500
სხვა ხარჯები	6,762	12,601
სულ რეალიზებული მომსახურების ღირებულება	1,005,132	527,405

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
შრომის ანაზღაურების ხარჯი	404,918	137,477
საგადასახადო ხარჯი	60,370	49,980
ბანკის მომსახურების საკომისიო	37,214	6,806
რემონტი	23,131	3,234
რეკლამის ხარჯი	19,467	4,241
მომსახურების ხარჯი	14,140	-
კომუნალური გადასახადები	5,288	8,635
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	4,451	11,762
წარმომადგენლობითი ხარჯები	3,721	2,525
საოფისე ხარჯი	3,267	1,456
სანოტარიო მომსახურების ხარჯი	1,171	10,880
სხვა ხარჯები	1,039	301
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	578,177	237,297

15. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს. რადგანაც კომპანიას ჯერ არ დაუწყია შემოსავლების მიღება, საკრედიტო რისკი დაკავშირებულია მხოლოდ ფულად საბანკო ნაშთებთან.

შპს „ჭრელი აბანო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)

15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17	1-იან-17
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		9,212	5,983	1,787
ფული და ფულის ეკვივალენტები		102,944	371,112	130,569
სულ ფინანსური აქტივები		112,156	377,095	132,356

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17	1-იან-17
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		207,111	143,322	112,352
მიღებული სესხი		904,886	1,149,706	1,432,347
სულ ფინანსური ვალდებულებები		1,111,997	1,293,028	1,544,699

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველსად უკავშირდება მის ფუნქციონირებას (წინასწარი გადახდები უცხოურ ვალუტაში) და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

ქვემოთ ცხრილში მოყვანილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ, საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით:

წელი დასრულებული 31-დეკ-18			
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	35,889	-	35,889
ევრო	6,747	6,059	688
სულ	42,637	6,059	36,578

შპს „ჭრელი აბანო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

წელი დასრულებული 31-დეკ-17			
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	220,338	-	220,338
ევრო	-	-	-
სულ	220,338	-	220,338

წელი დასრულებული 1-იან-2017			
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	31,109	-	31,109
ევრო	-	-	-
სულ	31,109	-	31,109

წელი დასრულებული 31-დეკ-18	
გავლენა მოგება-ზარალზე	
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	3,589
ევროს 10%-ით გამყარება	69
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(3,589)
ევროს 10%-ით გაუფასურება	(69)

წელი დასრულებული 31-დეკ-17	
გავლენა მოგება-ზარალზე	
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	22,034
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(22,034)

წელი დასრულებული 1-იან-17	
გავლენა მოგება-ზარალზე	
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	3,111
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(3,111)

15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემული ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2018 და 2017 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

31-დეკ-18	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,212	-	-	9,212
ფული და ფულის ეკვივალენტები	102,944	-	-	102,944
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(207,111)	-	-	(207,111)
მიღებული სესხი	(904,886)	-	-	(904,886)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(999,841)	-	-	(999,841)

31-დეკ-17	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,983	-	-	5,983
ფული და ფულის ეკვივალენტები	371,112	-	-	371,112
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(143,322)	-	-	(143,322)
მიღებული სესხი	(1,149,706)	-	-	(1,149,706)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(915,933)	-	-	(915,933)

შპს „ჭრელი აბანო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

1-იან-2017	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,787	-	-	1,787
ფული და ფულის ეკვივალენტები	130,569	-	-	130,569
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(112,352)	-	-	(112,352)
მიღებული სესხი	(1,432,347)	-	-	(1,432,347)
წიმნდა ლიკვიდურობის პოზიცია	(1,412,343)	-	-	(1,412,343)

კაპიტალური რისკის მართვა

კაპიტალური მართვა ხორციელდება კომპანიის მფლობელების მიერ მათი მოთხოვნების საფუძველზე კომპანიის ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურის მიმართ. კომპანია კაპიტალის სტრუქტურას მართავს საქართველოში არსებული სამართლებრივი მოთხოვნების დაცვით, ისევე, როგორც EBRD- სთან სესხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან, როგორც ეს მოცემულია მე -11 შენიშვნაში.

16. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 - ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებს:

2018	რეალიზებული მომსახურების ღირებულება
შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა მოგება-ზარალში	1,005,132
შპს გოგირდის წყლები	(114,000)
ჯამი	(114,000)

შპს „ჭრელი აბანო“

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)**

16. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

2017	რეალიზებული მომსახურების ღირებულება
შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა მოგება- ზარალში	527,405
შპს გოგირდის წყლები	(71,500)
ჯამი	(71,500)

2018 წლის 31 დეკემბრის ბოლოსათვის ხელმძღვანელობის ანაზღაურება შეადგენს 60,000 ლარს (2017-28,700 ლარი)

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2018 წლის 30 აპრილის შპს „ჭრელი აბანოს“ პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე, 2019 წლის განმავლობაში კომპანიის მფლობელთა კაპიტალი შემცირდა 1,538,800 ლარით.